# ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია გლობალიზაციის ეპოქაში

ანზორ აბრალავა
სტუ-ს პროფესორი
*anzor_abralava@ciu.edu.ge*
მანანა ცერცვაძე
კსუ-ს პროფესორი
*manana_tsertsvadze@ciu.edu.ge*
ირინა მუჯირი
კსუ-ს დოქტორანტი
*i.mujiri@shabogeorgia.ge*

**რეზიუმე**

ადამიანური ფაქტორი დღითიდღე უფრო არსებით როლს და ღირებულებას იძენს სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში და მართავს ამ პროცესებს მათი ობიექტური თვისებების გათვალისწინებით. მეორე მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე ქვეყნების წარმოების სრულყოფა ადამიანის განვითარების აუცილებელი პირობაა, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებს. გლობალიზაციის პროცესების არსებით თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ახალ "ცოდნის ადამიანზე" ორიენტირებული ეკონომიკის დამკვიდრება და ადამიანური კაპიტალის როგორც კონკურენტუნარიანობის განსაკუთრებული რესურსის როლის ამაღლება თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში. კრეატიულობისა და ინოვაციურობის დიდი რესურსის ფლობის გამო ამ კაპიტალზე მოთხოვნა სულ უფრო მატულობს თანამედროვე საზოგადოებაში.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის პირობებში ადამიანური კაპიტალი ფირმების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების და ამაღლების ძირითადი ფაქტორია. ამდენად, ინოვაციები როგორც ადამიანური კაპიტალის ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტი წარმოებული პროდუქციის მაღალტექნოლოგიურობასა და კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ყველაზე რეიტინგულ კომპანიებში წარმოების ზრდა-განვითარებასა და ინოვაციურობას განაპირობებს არა მათში დასაქმებულთა რაოდენობის მატება, არამედ ხარისხიანი, მაღალკვალიფიციური ადამიანური კაპიტალის გამოყენება. ამიტომ კომპანიებმა მეტი ძალისხმევა უნდა მოახმარონ თავიანთი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობას და პროფილური კადრების მომზადებას, სტუდენტების სტაჟირებას, პრაქტიკის გატარებასა და დასაქმებას.

ადამიანური ფაქტორი დღითიდღე უფრო არსებით როლს და ღირებულებას იძენს სოციალურ-ეკონიმიკური პროცესებში და მართავს ამ პროცესებს მათი ობიექტური თვისებების გათვალსწინებით. მეორე მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე ქვეყნების წარმოების სრულყოფა ადამიანის განვითარების აუცილებელი პირობაა, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებს. შრომის პროცესის პირობებში მომხდარი თვისობრივი ცვლილებები ორგანულად ითვისებს მეცნიერების, ტექნიკის პროგრესულ მონაპოვრებს, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება თანამედროვე ეპოქაში. სოციალური განვითარების ეფექტიანობის მიღწევა ფირმებსა და საწარმოებში შესაძლებელია მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით უმაღლესი პროფესიონალიზმის მქონე პირების ხვედრითი წილის ამაღლებით მართვის ყველა რგოლში, მუშაკთა მაღალკვალიფიციური შრომის ხვედრითი წილის მატებით, მათი განათლების დონის ამაღლებით და იმ პირების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებით, რომლებიც ადამიანური რესურსების მომზადება-გადამზადების სისტემაში მონაწილეობენ.

წარმოების ეფექტიანობის ზრდისთვის ახლა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც ითხოვენ თანამედროვე ინფორმაციული და სხვა ტექნოლოგიები. ამ გზით ხდება უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობის ზრდა არა მხოლოდ მართვის (მენეჯმენტის) სფეროში, არამედ მუშებს შორისაც. აქედან დავასკვნით, რომ სხვადასხვა ქვეყნის ფირმებს შორის გაჩაღებულ კონკურენციაში ის გაიმარჯვებს, ვისი სპეციალ-

ისტების მომზადების დონეც უფრო მაღალი იქნება.

ტექნიკურმა პროგრესმა, ბუნებრივია, გარკვეული გავლენა იქონია წარმოების განვითარების პროცესზე. ადამიანთა საქმიანობაში თანდათან მეტ როლს იკავებს განივთებული შრომა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს პიროვნება, როგორც სამუშაო ძალის მატარებელი, გამოძევებულია საწარმოო პროცესიდან. მაგრამ ეს პირიქითაა – განუწყვეტლივ იზრდება ადამიანის ცოდნის ღირებულება, რითაც იგი არის და იქნება საწარმოო ძალთა გადამწყვეტი ფაქტორი.[1]

გლობალიზაციის პროცესების არსებით თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ახალ "ცოდნის ადამიანზე" ორიენტირებული ეკონომიკის დამკვიდრება და ადამიანური კაპიტალის როგორც კონკურენტუნარიანობის განსაკუთრებული რესურსის როლის ამაღლება თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში. კრეატიულობისა და ინოვაციურობის დიდი რესურსის ფლობის გამო ამ კაპიტალზე მოთხოვნა სულ უფრო მატულობს თანამედროვე საზოგადოებაში.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური ზრდა-განვითარების ეფექტიანობა ადამიანურ კაპიტალში სახელმწიფოსა და კომპანიების ინვესტირების პოლიტიკაზეა დამოკიდებული. მაგალითად, ადამიანური კაპიტალის წილად ბოლო წლებში მოდის აშშ-ის ეროვნული სიმდიდრის 77%; რუსეთში ეს მაჩვენებელი 50, საქართველოში კი - 49%-ია.

გლობალიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პირდაპირი კავშირი აღინიშნება, ერთი მხრივ, ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და მათ მიერ კონკურენტუნარიანი პოზიციების მიღწევის უნარს, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანური კაპიტალის განვითარების დონეს შორის. კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირება ხელს უწყობს ინტენსიურ ეკონომიკურ ზრდას, ამაღლებს მოსახლეობის დასაქმებას და მის კეთილდღეობას, იწვევს ინოვაციური დარგების ფართოდ განვითარებას და ა.შ. ამ ფონზე აუცილებელი ხდება:

ადამიანური კაპიტალის როგორც ინოვაციური პროცესების გააქტიურების ძირითადი პირობის როლის განსაზღვრა და ამ როლის გაძლიერება ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ეფექტიანი დონის მიღწევის მიმართულებით;

ისეთი ეკონომიკური კატეგორიების არსის განსაზღვრა-ჩამოყალიბება, როგორიცაა „ადამიანური კაპიტალი" და „კონკურენტუნარიანობა", აგრეთვე, „კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის" ცნების დაზუსტება;

საქართველოში ადამიანური კაპიტალის ფორმირება-დაგროვებისა და გამოყენების პროცესებზე ეკონომიკური გლობალიზაციის ფაქტორების გავლენის შესწავლა;

ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პირობებში ადამიანური კაპიტალის ხარისხის დონის ამაღლების გზების ძიება;

განვითარებული ადამიანური კაპიტალის შექმნაში სამეცნიერო-საგანმანათლებლო კლასტერების როლის განსაზღვრა.

ადვილი მისახვედრია, რომ განვითარებულ ეკონომიკას, მდიდარ ადამიანურ კაპიტალსა და მოსახლეობის კეთილდღეობას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. კერძოდ, რაც უფრო წარმატებით ფუნქციონირებს ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო მაღალია მისი მოსახლეობის ცხოვრების დონე და სიცოცხლის ხანგრძლივობა; რაც მეტია დასაქმებულთა შემოსავლების დონე, მით მეტია მათი განათლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები; ბოლოს, რაც უფრო მაღალია ადამიანის ცოდნა და ინტელექტი, მით მეტი შემოსავლების გამომუშავების შესაძლებლობა აქვს მას და ა.შ.

ბუნებრივია, რომ კონკურენტუნარიანი, უნიკალური და მსოფლიო ბაზრების მოთხოვნების შესაბამისი მაღალტექნოლოგიური საქონლის წარმოება და ამ ბაზრებზე მისი მიწოდება მხოლოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალის მქონე ქვეყანას შეუძლია. კონკურენტუნარიანობა, თავის მხრივ, დინამიკურ ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების მაღალ ხარისხს განაპირობებს. სწორედ ეს უზრუნველყოფს ქვეყანაში კულტურის, განათლებისა და პროფესიული მომზადების მაღალ დონესა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის კარგ მდგომარეობას, ეს კი თავისთავად არის კონკურენტუნარიანობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც ადამიანის ცოდნისა და უნარების მაქსიმალურ გამოყენებას ეფუძნება.

აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პროცესები მოქმედებენ არა მხოლოდ ამა თუ იმ დარგის ფირმების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, არამედ მთელი ეროვნული მეურნეობის განვითარებაზე. ეს იმას უკავშირდება, რომ ფირმებისა და ქვეყნების ინოვაციური შესაძლებლობები ადამიანური კაპიტალის და საზოგადოების ინტელექტუალურ-კრეატიული რესურსე-

[1] ს. პავლიაშვილი. ადამიანური ფაქტორი სოციალურ-ეკონომიკურ პროცესში და მისი განვითარების ფაქტორები. ელ. რესურსი www. for.ge/view.php?for_id=4856&cat=3

ცხრილი 1

**საქართველოს ღვინის მწარმოებელ საწარმოებში წარმოების მოცულობისა და დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2009-2013 წლებში**

| მაჩვენებლები | 2009 | | 2010 | | 2011 | | 2012 | | 2013 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასი დეკალ. | ათასი ლარი | ათასი დეკალ. | ათასი ლარი | ათასიდ ეკალ. | ათასი ლარი | ათასი დეკალ. | ათასი ლარი | ათასი დეკალ. | ათასი ლარი |
| ნატურალური ღვინო და ღვინომასალა,გარ-და ცქრიალა ღვინისა | 1399.8 | 57359.3 | 2475.6 | 84878.4 | 2904.7 | 112412.7 | 4499.1 | 154982.0 | 6551.5 | 283491.5 |
| ცქრიალა ღვინო (შამ-პანური) | 121.8 | 8856.2 | 114.2 | 8376.4 | 138.8 | 10827.8 | 123.7 | 9240.2 | 164.5 | 12313.8 |
| სულ | 1521.6 | 66215.5 | 2589.8 | 93254.8 | 3043.5 | 123240.5 | 4622.8 | 164222.2 | 6716.0 | 295805.3 |
| დასაქმებულთა საშუ-ალო წლიური რიცხ-ოვნობა, კაცი | 2212 | | 3431 | | 2893 | | 4255 | | 4689 | |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/*

ბის უშუალო მონაწილეობით ყალიბდება, რომლებიც თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის სისტემაში სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენენ. აქედან გამომდინარე, ადამიანთა საქმიანობა ეროვნული ეკონომიკის სიმდიდრის წყაროა, მაგრამ მისი კონკურენტუნარიანობა ადამიანურ კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებზე და მათ პროგრამულ - მიზნობრივ სტრატეგიაზეა დამოკიდებული.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის პირობებში ადამიანური კაპიტალი ფირმების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების და ამაღლების ძირითადი ფაქტორია. ამდენად, ინოვაციები როგორც ადამიანური კაპიტალის ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტი წარმოებული პროდუქციის მაღალტექნოლოგიურობასა და კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

გლობალური ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერა მარტო ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის გატარებას ან საზოგადოების ინტელექტუალურ-კრეატიული რესურსების განვითარების ხელშეწყობას არ გულისხმობს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში არსებითი როლი უნდა დაეკისროს საზოგადოების საგანმანათლებლო პროცესის მაღალ ხარისხს როგორც ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ტრანსფორმაციის ძირითად ფაქტორს. გლობალიზაციის პირობებში სწორედ მაღალი სტანდარტის სპეციალისტებზე გაიზრდება მოთხოვნა როგორც მაღალტექნოლოგიურ ბიზნესში, ისე ინოვაციური მიმართულების მქონე საშუალო და მცირე კომპანიებში.

საქართველო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოებით გამორჩეული ქვეყანაა, რაც დიდ პერსპექტივებს უქმნის მისი ეკონომიკის განვითარებას. აქედან გამომდინარე, საინტერესოდ მივიჩნიეთ ადამიანურ კაპიტალის ფორმირებისა და გამოყენების მდგომარეობაზე დაკვირვება სწორედ ამ დარგში. შესაფასებელი მონაცემები ცხრ. 1-შია მოყვანილი:

ცხრილში მოყვანილი მონაცემები ავლენენ ამ დარგში წარმოების მოცულობის ზრდასა და დასაქმებულთა რაოდენობას შორის შეუსაბამობას. ამავე დროს, ყველაზე მაღალრეიტინგულია სწორედ ის კომპანიები (სააქციო საზოგადოებები

თელავის ღვინის მარანი, თბილღვინო, თელიანი ველი, შპს ბადაგონი, შატო მუხრანი და სხვები), რომლებშიც დიდ ყურადღებას უთმობენ ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას. ამ კომპანიებში ხშირად იწვევენ კონსულტანტებსა და პროფესიონალებს, ატარებენ ტრენინგებსა და პროფესიულ სემინარებს, სტაჟირებებს ახდენენ ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ყველაზე რეიტინგულ კომპანიებში წარმოების ზრდა-განვითარებასა და ინოვაციურობას განაპირობებს არა მათში დასაქმებულთა რაოდენობის მატება, არამედ ხარისხიანი, მაღალკვალიფიციური ადამიანური კაპიტალის გამოყენება. ამიტომ ღვინის კომპანიებმა მეტი ძალისხმევა უნდა მოახმარონ თავიანთი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობას და პროფილური კადრების მომზადებას, სტუდენტების სტაჟირებას, პრაქტიკის გატარებასა და დასაქმებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად (ფინანსების ხელმიუწვდომლობასთან ერთად) შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური კადრების სიმცირეც სახელდება.[2] აქედან გამომდინარე, კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირება-დაგროვებისა და გამოყენების ხელშეწყობის მიზნით ქვეყნის ხელისუფლება აქტიურ სტრატეგიას უნდა მიმართავდეს და ორიენტაციას ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებაზე აკეთებდეს.

„შრომისა და სოციალური დაცვის სისტემის გარდაქმნის აუცილებელი პირობაა მისი რეფორმირება. მაგრამ რეფორმაზე, რომელიც გულისხმობს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შექმნა-ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანია ამ სისტემათა **ტრანსფორმაცია,** რაც გულისხმობს მათ მიზანდასახულებათა ცვლილებებს",- სრულიად სამართლიანად შენიშნავს პროფ. დ. იაკობიძე.[3] თავისთავად ცხადია, რომ ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მიზანმიმართულ პოლიტიკას ამ საქმეში ყველა საჭირო სექტორის ჩართვას და მათ მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა.,ეკონომიკის და გლობალურ - ინოვაციური პრობლემები,გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2014

2. ს.პავლიაშვილი. ადამიანური ფაქტორი სოციალურ-ეკონომიკურ პროცესში და მისი განვითარების ფაქტორები. ელ. რესურსი www.for.ge/view.php?for_id=4856&cat=3

3. დ. იაკობიძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი პარადიგმის საკითხისათვის. ელ.რესურსი globalresearch.ge/workshops/davit-iakobidze-moxseneba.html

4. ნ. კუნცევა-გაბაშვილი. Forbes Georgia. 17 იანვარი, 2014.

5. ბერუჩაშვილი გ. ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალობა

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: http://www.geostat.ge/

7. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო: www.investingeorgia.org

8. საქართველოს ეროვნული ღვინის სააგენტო: www.georgianwine.gov.ge

9. Human Development Reports, Official Website. http://hdr.undp.org/en/

10. World Bank. World Development Indicators Data Base

11. http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators

12. http://www.polity.ge/georgia/economics/2268-inovaciuri-ekonomikuri-politikis-aqtualoba.html

[2] ნ. კუნცევა-გაბაშვილი. Forbes Georgia. 17 იანვარი, 2014.

[3] დ. იაკობიძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი პარადიგმის საკითხისათვის. ელ.რესურსი globalresearch.ge/workshops/davit-iakobidze-moxseneba.html

# ТРАНСФОРМАЦИЯ ЧЕЛОВЕЧЕСКОГО КАПИТАЛА В ЭПОХУ ГЛОБАЛИЗАЦИИ

*АНЗОР АБРАЛАВА - Профессор ГТУ, anzor_abralava@ciu.edu.ge*
*МАНАНА ЦЕРЦВАДЗЕ - Профессор КСУ, manana_tsertsvadze@ciu.edu.ge*
*ИРИНА МУДЖИРИ - Профессор КСУ, i.mujiri@shabogeorgia.ge*

**Резюме**

Человеческий фактор с каждым днем приобретает все более существенную роль и значимость в социально-экономических процессах и вместе с тем управляет этими процессами с учетом их объективных свойств. С другой стороны, совершенствование производства в странах с современными технологиями является необходимым условием развития человека, когда особое внимание уделяется индивидуальным качествам личности. Существенной особенностью процессов глобализации следует считать становление экономики, ориентированной на нового “человека знаний”, и повышение роли человеческих ресурсов в современных экономических системах. Из-за владения большим ресурсом креативности и инновационности спрос на этот капитал в современном обществе постепенно повышается.

Можно утверждать, что человеческий капитал является основным фактором сохранения и повышения конкурентоспособности фирм в условиях глобализации. Исходя из этого, инновации как продукт интеллектуальной деятельности человеческого капитала обуславливает высокотехнологичность и конкурентоспособность производимой продукции.

Проведенное нами исследование показало,что в наиболее рейтинговых компаниях рост производства и его инновационность определяет не увеличение в них числа занятых,а использование качественного, высококвалифицированного человеческого капитала. Поэтому компаниям следует большие усилия направить на повышение квалификации собственного персонала,сотрудничество с ВУЗами и подготовку профильных кадров, стажировку и практику студентов и их прием на работу.

# TRANSFORMATION OF THE HUMAN CAPITAL DURING GDOBALIZATION'S ERA

*ANZOR ABRALAVA - professor of GTU, anzor_abralava@ciu.edu.ge*
*MANANA TSERTSVADZE - professor of CIU, manana_tsertsvadze@ciu.edu.ge*
*IRINA MUDJIRI - PhD of CIU, i.mujiri@shabogeorgia.ge*

**Summary**

The human factor overtime becomes more and more significant and valuable in the socio-economic processes and at the same time manages these processes in accordance with their objective qualities. On the other hand, improvement of production in countries with modern technology is a prerequisite for human development that focuses on the individual qualities of the person. The essential feature of globalization can be said to be the emergence of the economy focused on the new “human knowledge”, and the role of human resources as a source of competitiveness in modern economies. Due to the large resource ownership of a creativity and innovation, demand for this capital in modern society is gradually increasing.

It can be confidently stated that human capital is a key factor in maintaining and improving the competitiveness of firms in the context of globalization. On this basis, innovation as a product of intellectual activity of human capital leads to high-tech and competitive products.

Research showed that in the highest rated companies increasing production and innovation is achieved not by increased number of employees but by recruitment of high-quality, skilled human capital. Therefore, companies should direct their efforts to improving qualifications of their own personnel, cooperation with universities and training of specialized personnel, students training, internship and employment.